ყურის ლაბირინთებში: ნიცშე(ს) „ქალ(ებ)ი“

იოანე ჯიბლაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იოანე ჯიბლაძე

29.06.2022

აბსტრაქტი

ნიცშეს სახელის, — სახელისა — *ნიცშე*, როგორც *საკუთარი სახელის* და როგორც *ტექსტთა კორპუსის სახელის,* — ზოგადი წაკითხვა მას მიზოგინურის, ანტი-ფემინისტურისა და ანტი-ქალურის სახელ ქვეშ ათავსებს. თუმცა, უმეტესად, ამგვარი წაკითხვები გამოტოვებენ ნიცშეს (ისევე, როგორც მისი ტექსტების) ჰეტეროგენულობასა და მის მრავლობითობას და ამასთან, ნიცშესთან „ქალის“ მეტაფორის ფუნდამენტურ და ცენტრალურ მნიშვნელობას.

თუმცა, ნაშრომის მიზანს არასგზით არ წარმოადგენს ამ სახელის, რაიმე სახით, დაცვა ან გამართლება (ჩვენ არც კი გვჯერა ამის საჭიროებისა), არამედ დასტურმყოფელი და აქტიური წაკითხვა და ინტერპრეტაცია; განსაკუთრებით სწორედ „ქალის“ (მეტაფორისა).

ნიცშესთან ყოველივე, — და განსაკუთრებით დასტურყოფისა და ქალის საკითხი, — იმთავითვე გადახლართულია ყურთან და ყურის ლაბირინთულობასთან; *ყურის ლაბირინთში.* მასთან ყოველგვარი დასტურყოფისათვის მნიშვნელოვანია ყური, — როგორც *სხვა* და როგორც *სხვისი* ყური; დასტურყოფა ყოველთვის ყურის გავლით ხდება; ეს ნაშრომიც მცდელობაა მოსმენისა, მოსმენისა *სხვა ყურით* და მცდელობაა *დასტ*ყურ*ყოფისა*, დასტ*ყურ*მყოფელი წაკითხვისა.

ეს წაკითხვა არ ცდილობს რაიმეს (საბოლოო) გადაწყვეტას, გადაჭრას, ამოწურვას, „შეჯამებას“; პირიქით, — კიდევ უფრო მეტ პრობლემატიზებას; წარმოჩენას და ხაზგასმას იმ სირთულეების და, ხანდახან, შეუძლებლობებისა, რომლებიც, როგორც *ბედისწერა* და *შემთხვევითობა*, აჩრდილივით თანსდევს ნიცშეს (სახელ(ებ)ის) წაკითხვას. ამდენად, ნაშრომი, ერთგვარად, იქცევა ტექსტად ნიცშეს (თუმცა არა მხოლოდ!) წა*კითხვის* (ტექსტთა, სახელთა, პოლიტიკურ სახელთა და ა.შ.) პროტოკოლთა შესახებ; ოღონდ, ეს „პროტოკოლიზაცია“, უპირატესად, თავადვე თვით-პროტოკოლიზებს საკუთარსავე თავს, წაკითხვისას, წაკითხვის შესახებ.

ეს იმთავითვე წინ წამოწევს პოლიტიკის (ფართო აზრით) საკითხსაც; იქნება ეს სახელთა, წაკითხვათა და ინტერპრეტაციათა, ქალთა საკითხის თუ ა.შ. პოლიტიკები. ამდენად, ნაშრომი, ამავდროულად, მცდელობაა ამგვარ პოლიტიკურ საკითხებზე — და იმ პასუხისმგებლობაზე, რომელსაც ისინი გვაკისრებენ, — გამოპასუხებისა, მათ წინაშე წარსდგომისა და ამ პასუხისმგებლობაზე პასუხისმგებლობის აღებისა.

ამ გზაზე, — თავისი უამრავი შესახვევებით, ჩიხებით, გზაჯვარედინებით, გაჩერებებით და მოსაცდელებით, ლაბირინთებით, აღმართებით და დაღმართებით, პლატოებით და ა.შ. და ა.შ. — ჩვენი მთავარი მეგზური არის ნიცშეს დერიდასეული წაკითხვა (თუ წაკითხვები), თუმცა არა მხოლოდ! და თუკი უმთავრესად მთელი ნაშრომი სწორედ მის ნაკვალევს მიჰყვება, გზად მაინც გარდაუვლად ვაწყდებით სხვათა ნაფეხურებსაც (და არცთუ მკრთალ ნაფეხურებს!)...

და, თუმცა კი ვახსენეთ, რომ ნაშრომი არ ცდილობს რაიმე *სახის* შეჯამებას, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ მცდელობა გვაქვს ვაჩვენოთ, რომ ნიცშესთან არ არსებობს არავითარი *ქალი*, ქალი *როგორც ასეთი,* არავითარი *ჭეშმარიტება ქალის შესახებ* (ეს მან თავად თქვა!) და რომ ასევე არ არსებობს ერთი ჭეშმარიტება ნიცშეს (ტექსტთა) შესახებ... და რომ სახელი — *ნიცშე* კვლავ რჩება... ჯერ კიდევ — და *ყოველთვის ჯერ კიდევ,* — წასაკითხი.

საძიებო სიტყვები: ნიცშე, „ქალი“, დერიდა, ჭეშმარიტება, სახელი, ყურის ლაბირინთები, დასტ*ყურ*ყოფა, ქალის საკითხი, ჰეტეროგენულობა, პროტოკოლები.

Abstract

Generally, the readings of Nietzsche's name — of the name — *Nietzsche*, as a *proper name* and as a *name of the corpus of texts,* — put him under the name of misogynist, anti-feminist, anti-female. Yet, those readings in most cases leave out the heterogeneity and the multiplicity of Nietzsche (just as of his texts) and also the fundamental and central significance of the metaphor — "woman" in Nietzsche.

Yet, the goal of this work is not to defend or justify this name (we don't even believe in such a need) but affirmative and active reading and interpretation; especially of (the metaphor of) "woman".

In Nietzsche, everything — and especially the questions of an affirmation and of a woman — is intertwined with an ear and with the labyrinthine character of an ear; *in the labyrinth of the ear*. In him, the ear — as *the other ear* and as *the ear of the other* — is important for any kind of affirmation; One affirms always through ears; This work also is an effort to hear, to hear with *the other ear,* and is an effort for *aff*ear*mation*, an aff*ear*mative reading.

This reading doesn't try to (finally) resolve, settle, exhaust, or "sum up" anything; On the contrary — to problematize it further; It merely tries to show and highlight those difficulties and — from time to time, — impossibilities that follow the readings of (the name (s) of) Nietzsche like a ghost, as its *fate* or *chance*. Thus, in a sense, the work turns into a text about the protocols of reading (texts, names, political names, etc.) Nietzsche (but not only!); Yet, such a "protocolization" in the first place self-protocolizes itself, while reading, about reading.

This immediately takes one to the question of politics (in a wider sense); Whether it is the politics of names, of readings and interpretations, of the question of women, etc. Hence the work, at the same time, is an effort to answer such political questions, — and the responsibility they impose onto us, — to appear before it, and to take responsibility for this responsibility.

On this path — with its many turnings, impasses, crossroads, waiting stations, labyrinths, up slopes and down slopes, plateaus, and so on and so on — our main guide is the Derridean reading (or readings) of Nietzsche, but not only! And while the entire work chiefly follows his traces, we still inevitably come across the footprints (and not pale ones!) of others…

And although we mentioned that the work doesn't aim at any kind of summarization, we still can say that here we try to show that there is no *woman*, woman *as such*, *truth about woman* in Nietzsche (he himself said that!) and that, in the same way, there is no one truth about (the texts of) Nietzsche… And that the name — *Nietzsche* still remains… Yet — and *always yet*, — to be read.

Keywords: Nietzsche, "woman", Derrida, truth, name, labyrinths of the ear, aff*ear*mation, the question of woman, heterogeneity, protocols.